Capatect Putzabschlußprofil 661

გაძლიერებული პლასტიკატის ლარტყა შელესვის კანტით და მყარად მიმაგრებული არმირების ბადის ზოლით, შესალესი ზედაპირების დაბოლოებისათვის. ნახვრეტებიანი.

შპს „კაპაროლ ჯორჯია“
ფირმათა ჯგუფ DAW-ს საწარმო

პროდუქტის აღწერა

გამოყენების სფეროები	პროფილი გამოიყენება ბათქაშის ზედაპირის დასაბოლოებლად ან სხვა მასალასთან მიერთების ადგილებში. წარმოქმნის სუფთა კანტს ერთ ზედაპირზე ბათქაშის სტრუქტურის ან ფერის მონაცვლეობისას.
თვისებები	■ პლასტიკატის კუთხოვანი პროფილი, ნახვრეტებით და შელესვის კანტით. ■ მზადდება იგივე მასალისგან როგორც არმირების ბადე, არ შეიცავს სისტემისთვის უცხო მასალებს ■ ულტრაიისფერი სხივების მიმართ მედეგი ■ ბათქაშის სუფთა განცალკევება ■ დაძველების მიმართ მედეგი ■ დამუშავებაში მარტივი
შენახვის პირობები	შეინახეთ მშრალ, სწორ ადგილას, დაიცავით მზის პირდაპირი სხივების გადახურების და მექანიკური დატვირთვებისგან.
შეფუთვა	ყუთში 25 პროფილი, თითო 2,5 მ = 62,5 მ
ტექნიკური მონაცემები	- პროფილის სიმაღლე - 24 მმ - შესალესი კანტის სიმაღლე - 5 მმ - სიგრძე - 2,5 მ - Capatect-Gewebe 650 არმირების ბადის ზოლი, სიგანე დაახლ 130 მმ.
პროდუქტის კოდი	661
ფერი	პროფილი: თეთრი

გამოყენება

ზედაპირის მომზადება	დასამუშავებელი კანტი უნდა იყოს სუფთა, მშრალი, მყარი, მზიდუნარიანი და თავისუფალი განმაცალკევებელი ნივთიერებებისგან.
ხარჯი	1,0 მ/მ
გამოყენების პირობები	დამუშავების და შრობის დროს გარემოს და ზედაპირის ტემპერატურა არ უნდა იყოს +5°C-ზე ნაკლები და არ უნდა აღემატებოდეს +30°C-ს.



მონტაჟი	პროფილის მონტაჟი ხდება ზედაპირული არმირების ბადის გაშრობის შემდეგ. პროფილი ბრტყლად მაგრდება ზედაპირზე და მონტაჟის შესაბამისად სწორდება თარაზულად ან შვეულად. ამისათვის სისეტმის შესაბამისი არმირების მასა უნდა დაიტანოთ პროფილის მთელი ზედაპირზის სიგანის მონაკვეთზე .ზუსტად მორგებული პროფილი მსუბუქი დაწოლით ჩამაგრდეს არმირების მასაში (არმირების ბადის ზოლი უნდა მოხვდეს ბათქაშის მხარეს). მიაქციეთ ყურადღება, რომ პროფილის ჩამაგრება მოხდეს ისეთნაირად, რომ არ შეიქმნას დაბრკოლება ზედაპირზე ჩამონადენი წყლისათვის. შემდგომი დაფარვა ბათქაშით ხდება საკმარისი გაშრობის შემდეგ. ბათქაშის ზედაპირი უნდა გაუსწორდეს შელესვის კანტს, ისე რომ არ მოხდეს წყლის დაგროვების ხელშეწყობა. შელესვის კანტის ზედაპირი ოპტიკურად ხილულ ზოლად უნდა აღიქმებოდეს.

შენიშვნები

ტექნიკური კონსულტაცია	მოცემული ტექნიკური ინფორმაციის ფარგლებში შეუძლებელია მოცემული იქნას რჩევა პრაქტიკაში არსებული ყველა ზედაპირის და მათი დამუშავების შესახებ. იმ შემთხვევაში, თუკი დასამუშავებელი ზედაპირი არ არის შესული ამ ინფორმაციაში, კონსულტაციისათვის მიმართეთ Caparol-ის ოფისს, ან ადგილს, სადაც მოხდა პროდუქტის შეძენა. კომპანია Caparol-ი სიამოვნებით გაგიწევთ კონსულტაციას კონკრეტულ შემთხვევასთან დაკავშირებით.

შპს კაპაროლ ჯორჯია
ალ. ქართველიშვილის ქ. N8, 0198 თბილისი საქართველო, office@caparol.ge